



შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი)

ქ. თბილისი

2019

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი დაფუძნდა 2019 წლის 12 თებერვალს შპს საქართველოს უნივერსიტეტის მიერ. კოლეჯის მისიაა ჩამოყალიბდეს ცოდნაზე ორიენტირებულ კოლეჯად, რომელიც იხელმძღვანელებს რა სამართლიანობის და ჰუმანიზმის პრინციპებით, განათლებისა და დასაქმების სფეროში წარმატების მისაღწევად ითანამშრომლებს დამსაქმებლებთან და საზოგადოების ყველა დაინტერესებულ პირთან. მისი ძირითადი მიზანია თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და პიროვნების მოთხოვნებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე ორიენტირებული პროფესიული საგანმანათლებლო სასწავლო პროგრამების განხორციელება, მაღალკვალიფიციური და კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება.

საკონტაქტო ინფორმაცია:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯი

www.ugcollege.ge

მისამართი: ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის 15

ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში დაწესებულება განახორციელებს შემდეგ პროფესიულ მოდულურ პროგრამებს:

- ვებ ტექნოლოგიები
- კომპიუტერული ქსელი და სისტემები
- კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება

გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება საქართველოს უნივერსიტეტის შვილობისი კომპანიაა, შეუძლია გამოიყენოს მოცემული პროგრამებისთვის სასურველი რესურსი, კერძოდ:

UG Lemondo

UG Lemondo Trainings” წარმოადგენს “საქართველოს უნივერსიტეტისა” და ბაზარზე წამყვანი კომპანიის "Lemondo"-ს ერთობლივ მობილური აპლიკაციების ცენტრს, რომელიც სტუდენტებს და დამწყებ პროგრამისტებს სთავაზობს მობილური აპლიკაციების შექმნის სრულ კურსებს, პროგრამირების საფუძვლებიდან დასრულებულ რეალურ პროექტამდე. UG Lemondo-ს ტრენინგ-ცენტრი უნიკალურია, რადგან სწავლების პროცესში ერთდროულად ერთვება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ლიდერი დეველოპერული კომპანია. სწავლება ორიენტირებულია საბაზრო მოთხოვნებზე და მსურველებს აძლევს არამხოლოდ თეორიული, არამედ პრაქტიკული განათლების მიღების შესაძლებლობას. UG Lemondo არის Apple-ის ავტორიზებული ცენტრი.

BlockChain-Lab

BlockChain-Lab-ის მიზანია საქართველოში დანერგოს და განავითაროს ახალი ციფრული ტექნოლოგიები, განავრცოს ციფრული ტექნოლოგიების შესაძლებლობები განათლებასა და სხვადასხვა პრაქტიკულ სფეროებში. საქართველოს უნივერსიტეტი პირველი უნივერსიტეტი საქართველოში, რომელმაც დაიწყო **BlockChain** ტექნოლოგიის დანერგვა საკუთარ სივრცეში. **BlockChain** არის მუდმივად ზრდადი ჩანაწერების სია, რომლის შემადგენელი დეცენტრალიზებული სისტემები კრიპტოგრაფიის გამოყენებით უზრუნველყოფს ინფორმაციის უნიკალურობას და მის დაცვას.

BlockChain-Lab-ის ბაზაზე სრულდება სხვადასხვა ტიპის პროექტები და მზადდება ტანამედროვე ციფრული ტექნოლოგიების სასწავლო კურსები საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურისთვის.

რობოტექნიკისა და ელექტრონიკის სკოლა UG Limes

უნიკალური სასწავლო პროგრამაა, რომლითაც ახალგაზრდები ეუფლებიან რობოტექნიკის, ელექტრონიკისა და პროგრამირების ათვისებისთვის საჭირო პრაქტიკულ და თეორიულ ცოდნას. საქართველოს უნივერსიტეტის ელექტრონიკის ლაბორატორია უნიკალურია თავისი მუშაობის პრინციპით მთელ საქართველოში. ამ ლაბორატორიაში სტუდენტებს აქვთ საშუალება, იმუშაონ სხვადასხვა სახის კომერციულ პროექტებზე. სასწავლო პროცესში ინტეგრირებული საინჟინრო საგნები შეისწავლება ლაბორატორიულ გარემოში. თითოეული სტუდენტი უზრუნველყოფილია ყველა საჭირო ელექტრული კომპონენტითა თუ გამზომი ხელსაწყოთი. რობოტექნიკისა და ელექტრონიკის ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, როგორებიცაა: 3D პრინტერი, CNC დაზგა, ოსცილოგრაფები, ტალღური გენერატორები, არდუინო და სხვა.

IT Academy

საქართველოს უნივერსიტეტის IT Academy-ის ფარგლებში გაერთიანებულია საერთაშორისო აკადემიები: Cisco Academy, Oracle Academy, Microsoft Academy და Mikrotik Academy. აკადემიის ფარგლებში მსმენელს შეუძლია გაიაროს მისთვის სასურველი მოკლევადიანი სასერტიფიკატო შემდეგი კურსები:

- MS Office
- მონაცემთა ბაზები (Oracle, MS SQL, PL/SQL)
- Web დეველოპმენტი (HTML, CSS, Javascript, PHP)
- დაპროგრამების ენა - Java
- კომპიუტერული ქსელები (CCNA)

უნივერსიტეტი აღჭურვილია CISCO-ს ლაბორატორიით და მინიჭებული აქვს CCNA და CCNP სერტიფიკატების გაცემის უფლება, რომელიც ინტეგრირებულია უნივერსიტეტის შესაბამის სასწავლო კურსში. ამ კურსის წარმატებით გავლის შემთხვევაში, სტუდენტს შეეძლება აიღოს შესაბამისი სერტიფიკატი.

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული (მოდულური) პროგრამების ანონსი:

ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ კოლეჯში განხორციელდება:

ვებტექნოლოგიები

- 1. მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ვებტექნოლოგიებში / Secondary Vocational Qualification in Web Technology
- 2. მიზანი**

პროგრამის მიზანია ვებტექნოლოგიების სფეროსთვის უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით შექმნან ვებგვერდისთვის ვებინტერფეისის როგორც დიზაინი, ასევე - დეველოპინგი (front_ის მხარე).
- 3. დაშვების წინაპირობა** - სრული ზოგადი განათლება
- 4. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები**

ვებტექნოლოგიებში საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ვებდეველოპერად, ვებგვერდის მხარდამჭერ სპეციალისტად ან ვებდიზაინერად.
- 5. მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესაბამისი სწავლის შედეგები**

კურსდამთავრებულს შეუძლია:

 1. შექმნას ვებგვერდის მაკეტი და მთავროს სხვადასხვა მოწყობილობას
 2. გააფორმოს ვებგვერდის ფონი, შრიფტი და ელემენტები სტილების საშუალებით
 3. გადაწყვიტოს მარტივი ამოცანა JavaScript ენის ძირითადი ელემენტებისა და კონსტრუქციების გამოყენებით
 4. მოახდინოს JavaScript-ის ბიბლიოთეკების ინტეგრაცია ვებგვერდთან
 5. დააინსტალიროს გვერდის მართვის სისტემები (CMS) და ააწყოს ვებგვერდის დიზაინი
 6. შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები
 7. მოახდინოს გვერდის მარკირება Bootstrap-ის სპეციალიზებული ბიბლიოთეკების საშუალებით
 8. შეიმუშავოს გვერდის ინტერაქტივი და ეფექტები Angular-ის საშუალებით
 9. მოამზადოს ვებინტერფეისის გრაფიკული დიზაინი
 10. დაამუშავოს ვექტორული გამოსახულება
 11. შექმნას ვებგვერდის მულტიმედიური კონტენტი
 12. შექმნას ფოტომასალა ვებგვერდისთვის.
- 6. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის - 63 კრედიტი**

კომპიუტერული ქსელი და სისტემები

1. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია ქართულ და ინგლისურ ენაზე** - საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში / Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems
2. **მიზანი:** კომპიუტერულ ქსელისა და სისტემების პროფესიული პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელისა და სისტემების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელიც ფლობს კომპიუტერის აპარატურულ-პროგრამული უზრუნველყოფის, მცირე ზომის ქსელების ორგანიზებისა და გამართვის, ბაზისური სერვერული სერვისების ადმინისტრირების უნარ-ჩვევებს; აქვს სფეროსათვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების, პროცესებისა და ზოგადი კონცეფციების ცოდნა, აცნობიერებს გართულელებული ამოცანების შესასრულებლად აუცილებელ ნაბიჯებს.
3. **დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება;
4. **დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:**
კომპიუტერული ქსელისა და სისტემების საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს ნებისმიერ სახელწიფო/მუნიციპალურ ორგანიზაციაში ან/და კერძო საკუთრებაში მყოფ კომპანიაში, სადაც გამოიყენება ინფორმაციის ტექნოლოგიები, მცირე და საშუალო ზომის საოფისე ქსელებში კომპიუტერული სისტემებისა და ქსელების ტექნიკოსად, რომლის მოვალეობებშიც შედის კომპიუტერული სისტემების აპარატურულ-პროგრამული და ქსელური სერვისების გამართვა-ადმინისტრირება.
5. **მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:**
კურსდამთავრებულს შეუძლია:
 1. სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვისთვის საჭირო პროცედურების აღწერა;
 2. Windows და Linux სერვერული ოპერაციული სისტემის ინსტალაცია;
 3. ცენტრალური დირექტორიების სერვისების (Directory Service) ბაზისური ადმინისტრირება;
 4. ქსელური მისამართების მართვის სისტემის (DHCP) ბაზისური ადმინისტრირება;
 5. დომენური სახელების სერვერის (DNS) ბაზისური ადმინისტრირება;
 6. ფაილური და ბეჭდის სერვერის ბაზისური მართვა;
 7. სერვერის ვირტუალიზაციის ტექნოლოგიის ბაზისური გამართვა.
 8. Linux-ის საინსტალაციო პაკეტების მართვა;
 9. Linux-სა და UNIX-ს ოპერაციული სისტემების ბრძანებების გამოყენება;
 10. Linux-ის ფაილური სისტემის მართვა;
 11. კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის ბაზისური გამართვა;
 12. სტატიკური მარშრუტის კონფიგურირება;
 13. დინამიური მარშრუტიზაციის ბაზისური კონფიგურირება;
 14. კომუტატორის ბაზისური კონფიგურირება;
 15. ვირტუალური ლოკალური ქსელის ბაზისური კონფიგურირება.
6. **პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 95 კრედიტი**

კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირება

1. მისანიჭებელი კვალიფიკაციები ქართულ და ინგლისურ ენაზე - უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირებაში / Higher Vocational Qualification in Computer Network Administration.
2. მიზანი: კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების პროფესიული პროგრამის მიზანია კომპიუტერული ქსელის ადმინისტრირების კვალიფიცირებული სპეციალისტის მომზადება, რომელსაც ექნება პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული მრავალმხრივი თეორიული ცოდნა; შეეძლება ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, მოსალოდნელი რისკების და პრობლემების წინასწარ განსაზღვრა და მათი თავიდან აცილება, პრობლემების წარმოშობის შემთხვევაში სწრაფი ანალიზის გაკეთება და ოპერატიული რეაგირება.
3. დაშვების წინაპირობები: სრული ზოგადი განათლება.
4. დასაქმების სფერო და შესაძლებლობები:
კომპიუტერული ქსელის ადმინისტრატორის საშუალო პროფესიული კვალიფიკაციის მფლობელს შეუძლია დასაქმდეს საჯარო ან კერძო სტრუქტურაში ინფორმაციული ტექნოლოგიების სფეროში, ქსელური ინფრასტრუქტურის ადმინისტრირების განხრით. აგრეთვე შეუძლია იმუშაოს ხელმძღვანელ თანამდებობაზე ან იყოს პროფესიული მასწავლებელი.
5. მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების შესაბამისი სწავლის შედეგები:
 1. კომპიუტერული ქსელის ფიზიკური და ლოგიკური ტოპოლოგიის გამართვა;
 2. EIGRP და OSPF მარშრუტიზაციის პროტოკოლების კონფიგურაცია;
 3. გლობალური ქსელის ტექნოლოგიების განსაზღვრა;
 4. გამოყოფილი არხების გამართვა;
 5. დაშორებულ ოფისებთან წვდომის ორგანიზება;
 6. ქსელში შეცდომების იდენტიფიცირება/აღმოფხვრა
 7. SNMP და Netflow პროტოკოლების კონფიგურირება;
 8. წვდომის სიების (ACL) აგება და მართვა;
 9. ვირტუალური კერძო ქსელის აგება;
 10. ქსელის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თანამედროვე საფრთხეების გარჩევა;
 11. ქსელური მოწყობილობების უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
 12. ACL(Access Control Lists)-ების გაფართოებული კონფიგურირება;
 13. ქსელური შეტევებისგან თავდაცვისთვის საჭირო თანამედროვე მეთოდების გარჩევა;
 14. ლოკალური ქსელური უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
 15. ბრენდმაუერის კონფიგურირება.
6. პროგრამის მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 95 კრედიტი

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ (მოდულური) პროგრამებზე პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

დაწესებულებაში არსებობს ორი ტიპი შეფასება: განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

- **განმავითარებელი** შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
- **განმსაზღვრელი** შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას: ა) სწავლის შედეგი დადასტურდა; ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
- განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე და რეგულირდება შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესით.
- შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.
- შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დამლევის გარეშე.

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება წარმოადგენს კოლეჯის პრეროგატივას. პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს ყველა ზოგადი, სავალდებულო და არჩევითი პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები